



გორის სუფხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი

დამტკიცებულია
სსიპ-ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის
სამუსიკო კოლეჯის დირექტორის
ბრძანებით N1/42 07.06.2022
ცვლილება შესულია:
ბრძანებით N1/82 §5 13.10.2022წ.
ცვლილება შესულია:
ბრძანებით N1/89. 09.11.2022წ.
ცვლილება შესულია:
ბრძანებით N1/101. 15.11.2022წ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. აღნიშნული წესი შემუშავებულია სსიპ-ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის წესდებისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების საფუძველზე და განსაზღვრავს მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევების შეფასების წესს.
2. კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები.
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ათვისება ხდება კოლეჯში სასწავლო გეგმის შესაბამისად;
4. პროფესიული სტუდენტი კოლეჯში ეუფლება თეორიულ ცოდნას და გამოიმუშავებს პრაქტიკულ უნარებს;

მუხლი 2. შეფასების პრინციპები

1. შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- ა) ვალიდურობას;
- ბ) სანდოობას;
- გ) გამჭვირვალობას;
- დ) სამართლიანობას;
- ე) ობიექტურობას.

1.1. ვალიდურობა.

- ა) ვალიდურობა არის შეფასების სიზუსტისა და შესაბამისობის საზომი.

ბ) შეფასება ვალიდურია, როდესაც:

- პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასების მიზნის შესაბამისად გეგმავს შეფასების პროცესს;
- შეფასების ინსტრუმენტები შერჩეულია შეფასების მიზნიდან გამომდინარე (მაგ. პრაქტიკული უნარების შესაფასებლად გამოყენებულია დაკვირვება და პრაქტიკული კომპონენტის შეფასების სხვა შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტები).

გ) პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას შესაბამისი მტკიცებულებების საფუძველზე წარმოაჩინოს კონკრეტული კვალიფიკაციისთვის აუცილებელი ცოდნა და უნარები.

დ) საშუალებას აძლევს პროფესიული განათლების მასწავლებელს, მიღებულ იქნას სანდო და

სამართლიანი გადაწყვეტილება ყველა პროფესიულ სტუდენტთან მიმართებაში.

1.2. სანდოობა. სანდოა შეფასება თუ:

- ა) შეფასების შედეგები ერთი და იგივეა, მიუხედავად იმისა, თუ ვინ და როდის აფასებს პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგებს;
- ბ) გამოიყენება ვალიდური შეფასების მექანიზმები;
- გ) ეფუძნება შეფასების მკაფიოდ განსაზღვრულ კრიტერიუმებს;
- დ) ის უცვლელია განსაზღვრული დროის განმავლობაში.

1.3 გამჭვირვალობა სამართლიანობა და ობიექტურობა.

1. ობიექტური და სამართლიანი შეფასება უნდა იყოს გამჭვირვალე. მასში ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული კონკრეტული კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც, მაქსიმალურად ობიექტურად და სამართლიანად შეფასდება ნებისმიერი პროფესიული სტუდენტის ესა თუ ის სწავლის შედეგი. სასურველია, რომ შეფასების კრიტერიუმები წინასწარ იყოს ცნობილი პროფესიული სტუდენტისათვის.

2. მიუხედავად იმისა, შეფასება ხორციელდება წერიითი/ზეპირი გამოკითხვის, პრაქტიკული დავალების, ტესტისა თუ სხვა გამოკითხვის მეთოდით, პრინციპი უნდა იყოს ერთგვაროვანი.

3. სასურველია პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით შეირჩეს შეფასების შესაბამისი ინსტრუმენტი და სწავლის შედეგის დადასტურებისათვის საჭირო გარემო.

4. შეფასების ინსტრუმენტი უნდა იყოს ადვილად გასაგები და პროცესში ჩართულ ყველა პირს, მათ შორის, პროფესიულ სტუდენტს ერთმნიშვნელოვნად ესმოდეს მისი შინაარსი. თუმცა, სიმარტივე უნდა გამორიცხავდეს მტკიცებულებებიდან რომელიმეს უგულებელყოფას.

5. კოლეჯი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერდადასტურების მაჩვენებლები) შეგროვებას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და იყენებს მათ პროგრამის შემდგომი განვითარებისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნებისათვის.

მუხლი 3. შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტი.
2. შეფასების ინსტრუმენტის შექმნის ვალდებულება აქვს მოდულის განმახორციელებელ პირს (პირებს);

3. შეფასების ინსტრუმენტი უნდა შეესაბამებოდეს მოდულით განსაზღვრულ შეფასების მიმართულებას;
4. შეფასების ინსტრუმენტის სტრუქტურა უნდა შეესაბამებოდეს დანართი №1-ის მიხედვით დამტკიცებულ ფორმას;
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებელი/ები მოდულის ადაპტირებისას შეფასების მიმართულების მიხედვით არჩევენ შესაბამის შეფასების ინსტრუმენტს.

მუხლი 4. შეფასების ინსტრუმენტის სტრუქტურა და შინაარსი

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტი.

2. ინსტრუმენტი აუცილებელია იყოს დასაბუთებული, საიმედო და ეკონომიური. სტუდენტის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება უნდა იყოს ავთენტური და სწავლის პროცესში შექმნილი.

3. შეფასების პროცესის განხორციელებამდე აუცილებელია პროფესიული მასწავლებლის /მოდულის განმახორციელებელი პირის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტი შეთანხმებულ იქნას დაწესებულების სასწავლო პროცესის მენეჯერთან.

4. ინსტრუმენტი უნდა შეირჩეს და შემუშავდეს შესაფასებელ მოდულში მითითებული შეფასების მიმართულების შესაბამისად. შეფასების მიმართულებებია:

ა) პროცესზე დაკვირვება – შემფასებელი აკვირდება შესაფასებელ პირის მუშაობას პროფესიული პროგრამით/მოდულით)განსაზღვრული ამოცანების შესრულების პროცესში რამდენად სწორად იყენებს შესაფასებელი პირი ცოდნას, უნარებსა და ყველა რესურსს შედეგის მისაღწევად.

ბ) პროდუქტი/შედეგის შეფასება – მტკიცებულების (პროდუქტის / შედეგის) შეფასების შედეგად შემფასებელს შეუძლია განსაზღვროს და გადაწყვიტოს, აითვისა თუ არა შესაფასებელმა პირმა მოდულის სწავლის შედეგებით მოთხოვნილი ცოდნა და უნარები.

გ) გამოკითხვა– ძირითადად გამოიყენება აკადემიური უნარების (კოგნიტური, კრეატიული, ანალიტიკური) შესაფასებლად. ამ ხერხს მიმართავენ მაშინ, როცა საჭიროა სტუდენტის ცოდნის, აღქმისა და გაგების, ნასწავლის გამოყენების (ტრანსფერის), მსჯელობის, ანალიზის, დაგეგმვისა და შეფასების უნარების განსაზღვრა. პასუხის გაცემა შესაძლებელი იქნება ზეპირად ან წერილობით.

5. სწავლის შედეგების შეფასებისთვის შესაბამისი ინსტრუმენტების შესამუშავებლად, პროფესიულმა მასწავლებელმა, წინასწარ უნდა განსაზღვროს ის ცოდნა და უნარი, რომლებიც სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ მოდულის მოთხოვნების შესაბამისად, რათა მათ შეძლონ ასათვისებელი ცოდნისა და უნარების დემონსტრირება. შეფასების ინსტრუმენტში არ უნდა იყოს შეტანილი მასალა, რომელიც სტუდენტებს არ უსწავლიათ.

6. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა იმ შეკითხვების ნაკრების შედგენისას, რომლებიც უნდა გამოიყენონ წერითი გამოცდის ან ზეპირი გამოკითხვისას, კითხვების პარალელურად აუცილებელია, ჩამოაყალიბონ დეტალური სანიმუშო სწორი პასუხები. ეს შეფასების სქემის არსებითი ნაწილია.

7. შეფასების ინსტრუმენტის სტრუქტურა:

ზოგადი ნაწილი;

ძირითადი ნაწილი

ზოგადი ნაწილი შედგება შემდეგი პუნქტებისგან:

დაწესებულების დასახელება ;

მოდულის სახელწოდება და რეგისტრაციის ნომერი;
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება;
კვალიფიკაციის კოდი;
შემფასებელი პროფესიული მასწავლებლის/მოდულის განმახორციელებელი პირის სახელი, გვარი;
პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი;
შეფასების ჩატარების თარიღი;

ძირითად ნაწილში მოცემულია სწავლის შედეგის/შედეგების შეფასების პროცესისათვის საჭირო სრული ინფორმაცია :

სწავლის შედეგი;
შესრულების კრიტერიუმები;
შეფასების მიმართულება;
შეფასების ინსტრუმენტები;
სწავლის შედეგის დადსტურებისთვის საჭირო გარემო;
სწავლის შედეგის დადსტურებისთვის საჭირო დრო;
დავალბების აღწერა;
შეფასების მტკიცებულება;
შეფასების სქემა;
ხარვეზების დასაშვები ნორმა;
განმეორებითი შეფასების პროცედურა
დავალბების შესრულების ინსტრუქცია
გამოკითხვა ტესტის სახით - კითხვებზე პასუხი წერით
გამოკითხვა ზეპირის სახით - კითხვებზე პასუხი ზეპირად
პრაქტიკული დავალბება-მოდულით გათვალისწინებული დავალბების შესრულება კომისიის წინაშე
შემფასებელი პროფესიული მასწავლებლის /მოდულის განმახორციელებელი პირის ხელმოწერა;
შესაფასებელი სტუდენტის ხელმოწერა;
კომისიის (არსებობის შემთხვევაში) ხელმოწერა;
შეფასების ინსტრუმენტს თან ერთვის შეფასების ფურცელი (ჩეკ-ლისტი), რომელიც შესრულების კრიტერიუმების ქულებით ან დადასტურდა/არ დადასტურდა შეფასების საშუალებით (რაც დეტალურად გაწერილია შეფასების ინსტრუმენტის ძირითად ნაწილში -შეფასების სქემაში)
ასახავს პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგის/შედეგების აღნიშვნას - შედეგი დადასტურდა/არ დადასტურდა.
შეფასების ფურცელზე , ისევე როგორც შეფასების ინსტრუმენტზე , ფიქსირდება :
შემფასებელი პროფესიული მასწავლებლის /მოდულის განმახორციელებელი პირის ხელმოწერა; შესაფასებელი სტუდენტის ხელმოწერა;
კომისიის (არსებობის შემთხვევაში) ხელმოწერა;

მუხლი 5. შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურა

1. შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს მოდულის განმახორციელებელი პირ(ებ)ი.
2. მოდულის განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში ჩართოს დარგის სხვა სპეციალისტი კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლებიდან.
3. მოდულის განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში მეთოდოლოგიური დახმარებისთვის

მიმართოს კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერს ან ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს.

4. შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებულ პროექტებს იხილავს სასწავლო პროცესის მენეჯერი შესაბამისი დარგის სპეციალისტთან ერთად, რომელიც არ მონაწილეობდა შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცესში.
5. შეფასების ინსტრუმენტი სასურველია შემუშავდეს მოდულის განხორციელების დაწყებამდე.
6. შეფასების პროცესამდე მინიმუმ 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე მოდულის განმახორციელებელი სასწავლო პროცესის მენეჯერს წარუდგენს შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს.
7. ხარვეზის დადგენისათვის ვადა განისაზღვრება 2 (ორი) დღით.
8. ხარვეზის არსებობის შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტი შესაბამისი რეკომენდაციით/შენიშვნებით/მითითებებით უბრუნდება მოდულის განმახორციელებელ პირს, რომელიც ვალდებულია 3 (სამი) დღის ვადაში წარმოადგინოს შესწორებული ვერსია.
9. შეფასების მიზნებისათვის ნებადართულია მხოლოდ ვალიდაცია გავლილი და დათარიღებული შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება.

მუხლი 6. ვერიფიკაცია

1. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

2. ვერიფიკაცია წარმოადგენს კოლეჯში გამოყენებული ხარისხის შეფასების მექანიზმის შესაბამისობას სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისად.

3. ვერიფიკაცია არის პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდულის სწავლის შედეგების/შესრულების მტკიცებულების თავსებადობა–შესაბამისობისა და ავთენტურობის აღიარების მექანიზმი. არსებობს ვერიფიკაციის ორი სახე შიდა და გარე:

ა) შიდა ვერიფიკაციას ახორციელებს შიდა ვერიფიკატორი, რომელიც შესაძლოა იყოს კოლეჯის იმავე მოდულის სხვა პროფესიული განათლების მასწავლებელი, ან იმავე პროგრამის სხვა მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი ან/და ადმინისტრაციის წარმომადგენელი;

ბ) გარე ვერიფიკაციას (დადასტურებული სწავლის შედეგების ნამდვილობის გადამოწმება), საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს გარე ვერიფიკატორი – პირი, რომლის კვალიფიკაცია იძლევა საშუალებას დაადასტუროს ან უარყოს შიდა ვერიფიკატორის მიერ დასკვნის სახით აღიარებული შედეგები. გარე ვერიფიკატორი შესაძლოა იყოს დამსაქმებელი, კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელი, პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი სხვა სასწავლებლის წარმომადგენელი, ან/და შესაბამისი დარგის სპეციალისტი ან/და პროფესიული განათლების ხარისხის მაკონტროლებელი უფლებამოსილი სახელმწიფო ან/და კერძო ორგანიზაციის წარმომადგენელი. კოლეჯი იყენებს პროფესიული სტუდენტის შეფასების შიდა ვერიფიკაციის მექანიზმს.

4. შეფასების ვერიფიკაცია ეფუძნება ხარისხის მექანიზმის შეფასების ციკლს

5. ვერიფიკაციის მიმართულებებია: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

6. ვერიფიკაციის უზრუნველყოფას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. იგი რისკების ანალიზის საფუძველზე ახდენს იმ ინსტრუმენტების და მტკიცებულებების იდენტიფიცირებას, სადაც შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობაა. ეს შეიძლება იყოს შემთხვევითი შერჩევის პრინციპი, დამწყები მასწავლებლის ფაქტორი, პრაქტიკული დავალებების სიმრავლე, ერთი

ინსტრუმენტით, ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების შედეგის გასაჩივრება და სხვა.

7.ვერიფიკაციას ახორციელებს ვერიფიკაციის ჯგუფი, რომლის მუდმივი წევრები არიან:

ა) ხარისხის მენეჯერი - ხელმძღვანელობს ვერიფიკაციის პროცესს; ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში;

ბ) სასწავლო პროცესის მენეჯერი - ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში და ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას დარგის სპეციალისტთან ერთად, ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის მოდულთან შესაბამისობის ტექნიკურ მხარეს;

გ) პროგრამის ხელმძღვანელი - უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის ვერიფიკაციას;

დ) დარგის სპეციალისტი (საჭიროებისამებრ, როდესაც პროგრამის ხელმძღვანელი არ არის დარგის სპეციალისტი) - ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში და ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას. სასწავლო პროცესის მენეჯერთან ერთად ამოწმებს შესაბამისობის ტექნიკურ მხარეს პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის მოდულთან შესაბამისობის შინაარსობრივ მხარეს; (დარგის სპეციალისტი არ უნდა იყოს შესამოწმებელი შეფასების ინსტრუმენტის შემქმნელი და განმახორციელებელი)

8 . ვერიფიკაციის განხორციელება სამოქმედო გეგმის მიხედვით ხდება წელიწადში ორჯერ: ახალი მიღების გამოცხადებამდე და მოქმედი პროგრამის დასრულებამდე (გარდა გამოკვეთილი გადაუდებელი პროცესისა).

9.ვერიფიკაციის პროცესის დღეს ნიშნავს ხარისხის მენეჯერი და აცნობს ჩართულ პირებს;

10.პროფესიული სტუდენტის მიერ გასაჩივრებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, სავალდებულოა განხორციელდეს გასაჩივრებიდან არა უგვიანეს 10 დღისა.

11.ვერიფიკაციის პროცესი შესაძლებელია გაგრძელდეს ერთი დღიდან არა უმეტეს 3 დღისა;

12.ვერიფიკაციის პროცესში მონაწილე პირების შერჩევას და ინფორმირებას ახდენს ხარისხის მენეჯერი.

13.ჯგუფი ვალდებულია ვერიფიკაციიდან არა უგვიანეს 10 დღისა წარმოადგინოს დასკვნა მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს გეგმაში ცვლილებები;

14.დასკვნა უნდა იყოს ნათელი და სრულყოფილი. დასკვნაში ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო შეფასების ინსტრუმენტი ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური.

15.ვერიფიკაციის შედეგები წარედგინება დირექტორს და დაინტერესებულ პირებს (მოდულის განმახორციელებელ პირს, პროფესიულ სტუდენტს).

16.ხარისხის მენეჯერი დასკვნის საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს რომლის საფუძველზეც გაგრძელდება სასწავლო პროცესის/პროგრამების გაუმჯობესება და მათზე ზრუნვა;

17.ვერიფიკაციის შედეგები გამოყენებული იქნება პროფესიული სტუდენტების შეფასების ინსტრუმენტის დახვეწისათვის და შემდგომი განვითარებისათვის.

18.შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის მონაწილეთა ვალდებულებები და მოვალეობები:

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის მონაწილეთა უფლება-მოვალეობა სქემის მიხედვით

დანართი №3 **შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესი**
 ეტაპზე პასუხისმგებელი მონაწილე ინფორმირება

პროცესის ეტაპი/ პასუხისმგებელი/ მონაწილე	ხარისხის სამსახური/ მენეჯერი	ვერიფიკატორი (განათლება)	ვერიფიკატორი (დარგი)	ინსტრუმენტის შემდგენელი	შემფასებელი	სტუდენტი	სასწავლო პროცესის მენეჯერი/ პროგრამის ხელმძღვანელი	დაწესებულების ხელმძღვანელი
	ვერიფიკაციის გეგმის შედგენა	Red						
ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტის შერჩევა	Red							
ვერიფიკატორების შერჩევა	Red	Green	Green					
ვერიფიკატორების ინსტრუქტაჟი	Red	Green	Green					
შესამოწმებელ მტკიცებულებათა იდენტიფიცირება	Red	Green	Green					
შესამოწმებელი ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების გამოთხოვა	Red						Green	
ინსტრუმენტის შეფასების მიმართულებასთან შესაბამისობის დადგენა	Green	Red		Green				
ინსტრუმენტის შინაარსობრივი შეფასება ვალიდურობის თვალსაზრისით	Green		Red	Green				
მტკიცებულებათა ფიზიკურად არსებობის შემოწმება	Green	Red			Green		Green	
მტკიცებულებათა მიხედვით შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემოწმება	Green	Red			Green		Green	
მტკიცებულებათა საკმარისობის შეფასება	Green		Red		Green			
მტკიცებულებათა ვალიდურობის შეფასება	Green		Red		Green			

ვერიფიკაციის დასკვნა

მოდული/სწავლის შედეგი -----

შემფასებელი -----

შეფასების პერიოდი -----

ვერიფიკატორი -----

ვერიფიკაციის ჩატარების პერიოდი -----

	შემოწმების მიდგომა	ინდიკატორი	დიახ/ არა	მტკიცებულება არას შემთხვევაში	რეკომენდაცია
სანდოობა					
შეფასების სისტემების მტკიცებულებები					
შეფასების მტკიცებულება					

გამჭვირვალო შეფასების სისტ მოთხოვნები, ას შესაფასებელი პ სისტემის ნაწილი					
---	--	--	--	--	--

ვალიდურობა

შეფასების სისტემა ვალიდურია თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით.

შეფასების ინსტრუმენტი	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა განათლების სპეციალისტის მიერ	შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი არის მოდულით განსაზღვრული შეფასების მიმართულების შესაბამისი			
	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა დარგის სპეციალისტის მიერ	შეფასების ინსტრუმენტის შინაარსი სრულფასოვნად აფასებს შესაფასებელ სწავლის შედეგებს, მოდულით დადგენილი ყველა კრიტერიუმის მიხედვით.			

შეფასების პროცესი	შეფასების რეგულაციის ან/და შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში)	რეგულაცია ითვალისწინებს შეფასების შესახებ შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმს			
	შეფასებული პირის ინტერვიუება, სხვა მტკიცებულება	წინასწარი ინფორმირება ხორციელდება იმგვარად, რომ			

		არსებობს ამისი მტკიცებულება		
	შეფასებული პირის ინტერვიურება	წინასწარი ინფორმირება ხორციელდება გონივრული ვადების გათვალისწინებით, და ფორმით რათა სტუდენტმა შეძლოს ამ ინფორმაციის გამოყენება (არ უნდა მოხდეს ძალიან ადრე, რომ არ დაავიწყდეს. არ უნდა მოხდეს ყველა შეფასების პროცესის შესახებ ერთდროულად, რათა ვერ განასხვავოს)		
	შეფასებული პირის ინტერვიურება	წინასწარი ინფორმირება ხორციელდება გონივრული ვადების გათვალისწინებით, რათა სტუდენტმა შეძლოს შეფასების პროცესისათვის ტექნიკური მომზადება		

	შეფასებული პირის ინტერვიურება	რეგულაციით გათვალისწინებული მექანიზმი სტუდენტის წინასწარი ინფორმირების თაობაზე პრაქტიკულად ხორციელდება		
--	-------------------------------	--	--	--

შეფასების სისტემა სამართლიანია, თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს შესაფასებელ პირს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები). ასევე შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში თუ იქნა ჩაყენებული.

შეფასების პროცესი	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) დარგის სპეციალისტის მიერ	შეფასებისათვის გამოყოფილი დრო საკმარისია		
	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) დარგის სპეციალისტის მიერ	შეფასება შესაბამის გარემოშია დაგეგმილი		
	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) დარგის სპეციალისტის მიერ	შეფასებისათვის გათვალისწინებულია შესაბამისი აღჭურვილობით უზრუნველყოფა		
	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) დარგის სპეციალისტის მიერ	შეფასებისათვის გათვალისწინებულია შესაბამისი მასალებით უზრუნველყოფა		
	შეფასებული პირის ინტერვიუება, შეფასების პროცესზე დასწრება ან ჩანაწერის ნახვა (შესაძლებლობის შემთხვევაში).	შეფასების პროცესი განხორციელდა განსაზღვრული პირობების დაცვით		

ობიექტურობა

შეფასების სისტემა ობიექტურია, თუ ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირი შესრულების შედეგების) პირობებში ერთნაირად არის

შეფასების პროცესი	შეფასების მტკიცებულებათა და უწყისების შესწავლა	ერთნაირად შესრულებული ყველა დავალება ერთნაირადაა შეფასებული სხვადასხვა დონეზე (კრიტერიუმებთან შესაბამისობის მიმართებით) შესრულებული დავალებები სხვადასხვაგვარადაა შესრულებული		
-------------------	--	---	--	--

ვერიფიკაციის დასკვნა

მოდული/სწავლის შედეგი -----

შემფასებელი -----

შეფასების პერიოდი -----

ვერიფიკატორი -----

ვერიფიკაციის ჩატარების პერიოდი -----

სისტემის ნაწილი	შემოწმების მიდგომა	ინდიკატორი	დიახ/ არა	მტკიცებულება არას შემთხვევაში	რეკომენდაცია
-----------------	--------------------	------------	-----------	-------------------------------	--------------

ვალიდურობა

შეფასების სისტემა ვალიდურია თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით.

შეფასების ინსტრუმენტი	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა განათლების სპეციალისტის მიერ	შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი არის მოდულით განსაზღვრული შეფასების მიმართულების შესაბამისი			
-----------------------	--	--	--	--	--

შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა დარგის სპეციალისტის მიერ	შეფასების ინსტრუმენტის შინაარსი სრულფასოვნად აფასებს შესაფასებელ სწავლის შედეგებს, მოდულით დადგენილი ყველა კრიტერიუმის მიხედვით.			
--	--	--	--	--

--	--	--	--	--

სანდოობა

შეფასების სისტემა სანდოა, თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით.

შეფასების მტკიცებულება	მტკიცებულებათა შესწავლა განათლების სპეციალისტის მიერ	ყველა სწავლის შედეგისათვის, თითოეული შეფასებული პირისათვის არსებობს მტკიცებულება		
	მტკიცებულებათა შესწავლა განათლების სპეციალისტის მიერ	მტკიცებულება ავთენტურია, ანუ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია შესაფასებელი პირის იდენტიფიცირება		
	მტკიცებულებათა შესწავლა დარგის სპეციალისტის მიერ	მტკიცებულება საკმარისია, ანუ მტკიცებულების მიხედვით შესაძლებელია დარწმუნება, რომ დავალება ყველა კრიტერიუმს შეესაბამება		
	მტკიცებულებათა შესწავლა დარგის სპეციალისტის მიერ	მტკიცებულება ვალიდურია, ანუ ასახავს იმას, რაც უნდა შეფასებულიყო		

გამჭვირვალობა

შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისათვის.

შეფასების პროცესი	შეფასების რეგულაციის ან/და შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში)	რეგულაცია ითვალისწინებს შეფასების შესახებ შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმს			
	შეფასებული პირის ინტერვიურება, სხვა მტკიცებულება	წინასწარი ინფორმირება ხორციელდება იმგვარად, რომ არსებობს ამისი მტკიცებულება			
	შეფასებული პირის ინტერვიურება	წინასწარი ინფორმირება ხორციელდება გონივრული ვადების გათვალისწინებით, და ფორმით რათა სტუდენტმა შეძლოს ამ ინფორმაციის გამოყენება (არ უნდა მოხდეს ძალიან ადრე, რომ არ დაავიწყდეს. არ უნდა მოხდეს ყველა შეფასების პროცესის შესახებ ერთდროულად, რათა ვერ განასხვავოს)			
	შეფასებული პირის ინტერვიურება	წინასწარი ინფორმირება ხორციელდება გონივრული ვადების გათვალისწინებით, რათა სტუდენტმა შეძლოს შეფასების პროცესისათვის ტექნიკური მომზადება			

	შეფასებული პირის ინტერვიურება	რეგულაციით გათვალისწინებული მექანიზმი სტუდენტის წინასწარი ინფორმირების თაობაზე პრაქტიკულად ხორციელდება			
--	-------------------------------	--	--	--	--

სამართლიანობა

შეფასების სისტემა სამართლიანია, თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს შესაფასებელ პირს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები). ასევე შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში თუ იქნა ჩაყენებული.

შეფასების პროცესი	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) დარგის სპეციალისტის მიერ	შეფასებისათვის გამოყოფილი დრო საკმარისია			
	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) დარგის სპეციალისტის მიერ	შეფასება შესაბამის გარემოშია დაგეგმილი			
	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) დარგის სპეციალისტის მიერ	შეფასებისათვის გათვალისწინებულია შესაბამისი აღჭურვილობით უზრუნველყოფა			
	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) დარგის სპეციალისტის მიერ	შეფასებისათვის გათვალისწინებულია შესაბამისი მასალებით უზრუნველყოფა			
	შეფასებული პირის ინტერვიუება, შეფასების პროცესზე დასწრება ან ჩანაწერის ნახვა (შესაძლებლობის შემთხვევაში).	შეფასების პროცესი განხორციელდა განსაზღვრული პირობების დაცვით			
ობიექტურობა					
შეფასების სისტემა შეფასებული.	შეფასების სისტემა ობიექტურია, თუ ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირი შესრულების (შედეგების) პირობებში ერთნაირად არის				
შეფასების პროცესი	შეფასების მტკიცებულებათა და უწყისების შესწავლა	ერთნაირად შესრულებული ყველა დავალება ერთნაირადაა შეფასებული			

მოდულის სახელწოდება და სარეგისტრაციო ნომერი:
სწავლის შედეგების რაოდენობა:
შეფასების ინსტრუმენტების რაოდენობა:

		სხვადასხვა დონეზე (კრიტერიუმებთან შესაბამისობის მიმართებით) შესრულებული დავალებები სხვადასხვაგვარადაა შესრულებული			
--	--	--	--	--	--

ინსტრუმენტთა ვერიფიკაცია

შეფასების ფურცელი
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

N	შეფასების ინსტრუმენტის/ების ტექნიკური შეფასება	შეფასების ინსტრუმენტი შესაბამისია	შეფასების ინსტრუმენტი არ არის შესაბამისი	შენიშვნა
1	შეფასების ინსტრუმენტი/ები შეესაბამება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ დამტკიცებულ ფორმას			
2	შეფასების ინსტრუმენტში/ებში განსაზღვრულია მოდულის სახელწოდება და სარეგისტრაციო ნომერი			
3	შეფასების ინსტრუმენტში/ებში განსაზღვრულია პროფესიული პროგრამის სახელწოდება			
4	შეფასების ინსტრუმენტში/ებში განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის შემფასებლის/ების სახელი და გვარი			

5	შეფასების ინსტრუმენტში/ებში შესაძლებელია შესაფასებელი პირის იდენტიფიცირება			
6	შეფასების ინსტრუმენტში/ებში მითითებულია შეფასების ჩატარების თარიღი			
7	შეფასების ინსტრუმენტში/ებში განსაზღვრულია შესაფასებელი სწავლის შედეგი/შედეგები			
8	შეფასების ინსტრუმენტი/ინსტრუმენტები მოიცავს მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგის/შედეგების კრიტერიუმებს			
9	შეფასების ინსტრუმენტი/ები შეესაბამება მოდულით განსაზღვრულ შეფასების მიმართულებას			
10	შეფასების ინსტრუმენტებში/ებში გამოყენებული შეფასების მიმართულებები			

	ერთგვაროვნული და მრავალფეროვანია			
1 1	შეფასების ინსტრუმენტებში/ებში მითითებულია შეფასების გარემო			
1 2	შეფასების ინსტრუმენტებში/ებში განსაზღვრულია შეფასების დრო			
1 3	შეფასების ინსტრუმენტებში/ებში მითითებულია საჭირო რესურსი, აღჭურვილობა			
1 4	შეფასების ინსტრუმენტებში/ებში დავალების შესასრულებლად მოცემულია განმარტება			
1 5	შეფასების ინსტრუმენტში/ებში მითითებულია შეფასების მტკიცებულება			
1 6	შეფასების ინსტრუმენტში/ებში მოცემულია შეფასების სქემა			
1 7	შეფასების ინსტრუმენტში მითითებულია განმეორებითი შეფასების შესაძლებლობა			
1 8	მოცემულია შეფასების სქემა(ჩეკლისტი,პრაქტიკული დავალების შეფასების სქემა,და აშშ)			
1 9	პროფესიული მასწავლებლის მიერ განხორციელებული სწავლის შედეგის/შედეგების კრიტერიუმი/კრიტერიუმების ან ორივეს ერთად დადასტურება/არდადასტურება ხელმოწერით.			
2 0	პროფესიული სტუდენტის ხელმოწერა			

სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი
ვერიფიკატორი
დარგის სპეციალისტი

მუხლი 7 . მოთხოვნები მტკიცებულების მიმართ

1. შესრულების მტკიცებულება წარმოადგენს შესაფასებელი პირის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალური ან ციფრული სახით დადასტურებას;

2. შეფასების პროცესში, გადაწყვეტილების მიღებისას, პროფესიული განათლების მასწავლებელმა უნდა შეაფასოს წარმოდგენილი მტკიცებულების შესაბამისობა სწავლის შედეგების კრიტერიუმებთან. პროფესიული განათლების მასწავლებელი მტკიცებულებებზე დაყრდნობით განიხილავს შეუძლია თუ არა პროფესიულ სტუდენტს დავალების თანმიმდევრულად შესრულება. მნიშვნელოვანია, რომ შეფასება ეფუძნებოდეს მტკიცებულებას, რომელიც უნდა იყოს ვალიდური, ტრანსფერული, ავთენტური, საკმარისი და მოდულის სპეციფიკაციით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისი.

- მტკიცებულების ვალიდურობა – მტკიცებულება ვალიდურია, თუ ის ზუსტად ასახავს იმას, რაც უნდა შეფასებულიყო.

- მტკიცებულების ტრანსფერულობა – მტკიცებულება ტრანსფერულია, თუ მის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროფესიული სტუდენტი იმავე დავალების შესრულებას შეძლებს იმავე კრიტერიუმების შესაბამისად, არა მხოლოდ სასწავლო ან სიმულაციურ, არამედ რეალურ სამუშაო გარემოშიც.

- მტკიცებულების ავთენტურობა – მტკიცებულება ავთენტურია, თუ ის შესრულებულია შესაფასებელი პირის მიერ.

- მტკიცებულების საკმარისობა – მტკიცებულება საკმარისია, თუ ამ მტკიცებულების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროფესიულ სტუდენტს შეუძლია საქმიანობის განხორციელება შესრულების კრიტერიუმების შესაბამისად.

3. შესრულების მტკიცებულება წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის (შესაფასებელი პირის) მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალური ან ციფრული სახით არსებულ დადასტურებას.

4. შესრულების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პირს, რომელიც აღნიშნულ მტკიცებულებებს ათავსებს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში,

5. შესრულების მტკიცებულებები უნდა უზრუნველყოფდეს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების საშუალებას. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას შექმნილი ელექტრონული პროდუქტი (თუ ეს დაკავშირებულია შედეგის დადასტურებასთან, ანუ წარმოადგენს მტკიცებულებას), უნდა ჩაიწეროს ინფორმაციის ციფრულ მატარებელზე.

6. შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები (მონაცემები, ინფორმაცია, არტეფაქტები, ფოტო და ვიდეო გამოსახულები, აუდიო ჩანაწერები და სხვა) აღირიცხება მტკიცებულებების აღრიცხვის ჟურნალში, რომელიც იწარმოება/შეივსება ელექტრონულად;

7. მტკიცებულება შესაძლებელია დაცული იქნეს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით.

8. მტკიცებულებების აღრიცხვის მიზანია მტკიცებულებათა სწორი იდენტიფიცირება და საჭიროების შემთხვევაში მათი მიკვლევა.

9. მტკიცებულებები ინახება სასწავლო პროცესის მენეჯერთან მათი მოპოვებიდან 3 წლის ვადით, პროგრამების მიხედვით ინდივიდუალურ საქალაქო დეპარტამენტში, ან ელექტრონულად, რათა ხელმისაწვდომი გახდეს შიდა და გარე ვერიფიკატორებისათვის. შემდგომ ხდება მათი განადგურება ისე, რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს, შესაბამისი კომისიის მიერ ხდება ოქმის შედგენა. რის შემდეგაც ხდება მისი განკარგვა დადგენილი წესით.

10. მტკიცებულებებს აღრიცხავს ელექტრონული აღრიცხვის ჟურნალში სასწავლო პროცესის მენეჯერი;

მუხლი 8. პროფესიული სტუდენტის შეფასება, განმეორებითი შეფასება და შეფასების გაფორმება

1. შეფასების პროცესში, გადაწყვეტილების მიღებისას, პროფესიული განათლების მასწავლებელმა უნდა შეაფასოს წარმოდგენილი მტკიცებულების შესაბამისობა სწავლის შედეგების კრიტერიუმებთან. პროფესიული განათლების მასწავლებელი მტკიცებულებებზე დაყრდნობით განიხილავს შეუძლია თუ არა პროფესიულ სტუდენტს დავალების თანამიმდევრულად შესრულება. პროფესიული განათლების მასწავლებელი მტკიცებულებას მთელ რიგ პრინციპებზე დაყრდნობით შეაფასებს. შეფასების პროცესის სანდოობის უზრუნველყოფის მიზნით, პროფესიული განათლების მასწავლებელს შეუძლია მოიწვიოს დამსწრე პირი შეფასების საათზე.

2. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასების სისტემის გამჭვირვალობის პრინციპიდან გამომდინარე, პირისპირ/კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებით, გონივრულ ვადებში უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების დადასტურების თარიღისა და შეფასების შედეგებთან დაკავშირებით.

3. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, პროფესიულ სტუდენტათვის სწავლის შედეგების გაცნობისას დაიცვას პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები.

4. პროფესიულ სტუდენტს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის რომელიმე შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, შესაძლებლობა აქვს ამ მოდულზე (რომელიც არის სხვა მოდულის წინაპირობა) მოდულის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში განმეორებით დაადასტუროს შესაბამისი სწავლის შედეგი. აღნიშნულ ვადაში პროფესიული სტუდენტის მიერ 1 (ერთი) მცდელობის შემდეგ მოდულის/სწავლის შესაბამისი შედეგის დაუდასტურებლობის ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მან შესაბამისი მოდული/სწავლის შედეგი უნდა გაიაროს ხელახლა.

5. თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდული არ არის სხვა მოდულის წინაპირობა, აღნიშნული მოდულის/სწავლის შედეგის დაუდასტურებლობის ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოდული/სწავლის შედეგი დაადასტუროს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე ერთჯერადად.

6. განმეორებითი შეფასებისას, გამოკითხვის მიმართულების შემთხვევაში, პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ გამოყენებული უნდა იქნას შეფასების ახალი ინსტრუმენტი.

7. პროფესიული სტუდენტის შეფასების შედეგები ფორმდება უწყისით (დანართი №5).

8. სწავლის შედეგების დადასტურების უწყისები პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება სასწავლო პროცესის მენეჯერთან, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება უვადოდ.

მუხლი 9. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის

კოლეჯი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერ დადასტურების მაჩვენებლები) შეგროვებას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და იყენებს მათ პროგრამის შემდგომი განვითარებისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნებისათვის

მუხლი 10. პროფესიული სტუდენტის შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურა

1. პროფესიული სტუდენტის შეფასების შედეგების გათვალისწინებით სტუდენტს უფლება აქვს გასაჩივროს შეფასების შედეგი სააპელაციო კომისიაში, რომელსაც ქმნის დაწესებულების დირექტორი შესაბამისი ბრძანების საფუძველზე.

2. სააპელაციო კომისია, შედეგა არანაკლებ 3 წევრისაგან, რომლის შემადგენლობას განსაზღვრავს დირექტორი ბრძანების საფუძველზე. კომისიის შემადგენლობის განსაზღვრისას თავიდან უნდა იქნეს აცილებული ინტერესთა კონფლიქტი.

3. სააპელაციო კომისიაში პროფესიულ სტუდენტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს საჩივრის წარდგენის უფლება აქვს შეფასების შედეგების გაცნობიდან 10 კალენდარული დღის ვადაში. კომისია საჩივარს განიხილავს მისი შეტანიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღის ვადაში. აპელაციის განხილვაში სავალდებულოა საჩივრის წარმდგენი პროფესიული სტუდენტის ან/და მისი კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობა.

4. სააპელაციო კომისია საჩივრის განხილვის შედეგად საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის წარდგენიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

5. სააპელაციო კომისია საჩივრის განხილვის შედეგად იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ;

ბ) საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

6. სააპელაციო კომისია მიღებულ გადაწყვეტილებას უგზავნის პროფესიულ სტუდენტს ან/და მის კანონიერ წარმომადგენელს ოფიციალური წერილობითი ფორმით.

დანართები:

შეფასების ინსტრუმენტები:

I დანართები გამოკითხვა

სსიპ ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი

შეფასების ინსტრუმენტი

მოდულის სახელწოდება და სარეგისტრაციო ნომერი - 0211115 საზღვარგარეთის მუსიკის მოსმენა და აღქმა

პროგრამის სახელწოდება –

კვალიფიკაციის კოდი - 0215

მოდულის განმახორციელებელი -

პროფესიული სტუდენტის სახელი -

შეფასების ჩატარების თარიღი

სწავლის შედეგი	
შესრულების კრიტერიუმები	
შეფასების მიმართულება	გამოკითხვა
შეფასების ინსტრუმენტი	ტესტი
სწავლის შედეგის დადასტურებისათვის საჭირო გარემო	
სწავლის შედეგის დადასტურებისათვის საჭირო დრო	
დავალებების აღწერა	
შეფასების მტკიცებულება	პროფესიული სტუდენტის მიერ შესრულებული ტესტი და მასწავლებლის მიერ შევსებული დანართი 1.
შეფასების სქემა	თითოეულ კრიტერიუმზე სტუდენტს ეძლევა ----- შეკითხვა. ყოველი შეკითხვა ფასდება მაქსიმუმ 2 და მინიმუმ 0 ქულით

	<p>2 ქულა -- პასუხი სრულია. სტუდენტი ზუსტად და ამომწურავად ასრულებს დავალებას.</p> <p>1 ქულა-- პასუხი არასრულია, სტუდენტი ასრულებს დავალების ნახევარზე მეტს</p> <p>0 ქულა--- პასუხი არ არის სწორი, სტუდენტი არასწორად ასრულებს მოცემულ დავალების ნახევარზე მეტს</p>
ხარვეზების დასაშვები ნორმა	პროფესიულ სტუდენტს შესრულება დაუდასტურდება, თუ თითოეული კრიტერიუმის შეკითხვებისთვის გათვალისწინებული ქულებიდან მიიღებს ნახევარზე მეტს.
განმეორებითი შეფასების პროცედურა	განმეორებითი შეფასება ტარდება ამ წესის მუხლი 8. შესაბამისად

დავალების შესრულების ინსტრუქცია:

შესწავლილი მასალის საფუძველზე მოკლედ, 3-4 წინადადებით შეასრულეთ ტესტის თითოეული დავალება

პრაქტიკული დავალება

1. 1.

1)-----

2

2)-----

3

3)-----

1.2.

1)

2)

3)

1.3.

1)

2)

3)

1.4.

- 1)-----
- 2)-----
- 3)-----

1.5

- 1)-----
- 2)-----
- 3)-----

მოდულის განმახორციელებელი:
 პროფესიული სტუდენტის ხელმოწერა:

დანართი 1

სსიპ ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი

შეფასების ფურცელი

მოდულის სახელწოდება და სარეგისტრაციო ნომერი -
 პროგრამის სახელწოდება -
 კვალიფიკაციის კოდი - 0215
 მოდულის განმახორციელებლები -
 პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი -
 შეფასების ჩატარების თარიღი -

შესრულების კრიტერიუმების დადასტურება

	2	1	0
სწავლის შედეგი			
1.			
2.			
3.			
4.			
5.			

სსიპ ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი

შეფასების ფურცელი

მოდულის სახელწოდება და სარეგისტრაციო ნომერი -
 პროგრამის სახელწოდება -
 კვალიფიკაციის კოდი - 0215
 მოდულის განმახორციელებლები -
 პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი -
 შეფასების ჩატარების თარიღი -

სწავლის შედეგების დადასტურება

სწავლის შედეგი	დადასტურდა	არ დადასტურდა
კრიტერიუმის დასახელება		
1.		
2.		
3.		
4.		
5.		

საბოლოო შედეგი: ----- (სწავლის შედეგი დადასტურდა ან არ დადასტურდა)

მოდულის განმახორციელებელი:
 პროფესიული სტუდენტის ხელმოწერა:

სსიპ ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი

შეფასების ინსტრუმენტი

მოდულის სახელწოდება და სარეგისტრაციო ნომერი -
 პროგრამის სახელწოდება –
 კვალიფიკაციის კოდი - 0215
 მოდულის განმახორციელებლები -
 პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი -
 შეფასების ჩატარების თარიღი

სწავლის შედეგი	სწავლის შედეგი-
შესრულების კრიტერიუმები	
შეფასების მიმართულება	გამოკითხვა
შეფასების ინსტრუმენტები	ზეპირი შეკითხვები
სწავლის შედეგის დადასტურებისთვის საჭირო გარემო	
სწავლის შედეგის დადასტურებისთვის საჭირო დრო	
დავალების აღწერა	
შეფასების მტკიცებულება	
შეფასების სქემა	<p>თითოეულ კრიტერიუმზე სტუდენტს ეძლევა ----- შეკითხვა. ყოველი შეკითხვა ფასდება მაქსიმუმ 2 და მინიმუმ 0 ქულით</p> <p>2 ქულა -- პასუხი სრულია. სტუდენტი ფლობს მოდულით გათვალისწინებულ მასალას. ზუსტად და ამომწურავად პასუხობს შეკითხვას.</p> <p>1 ქულა-- პასუხი არასრულია. სტუდენტი ფლობს მოდულით გათვალისწინებულ მასალას, აღენიშნება ნაკლოვანებები.</p> <p>0 ქულა--- პასუხი არ არის სწორი, არ პასუხობს დასმულ შეკითხვას .</p>
ხარვეზების დასაშვები ნორმა	პროფესიულ სტუდენტს სწავლის შედეგი დაუდასტურდება, თუ თითოეული კრიტერიუმის ----- შეკითხვისთვის გათვალისწინებული ---- ქულიდან მიიღებს მინიმუმ ნახევარზე მეტს.
განმეორებითი შეფასების პროცედურა	განმეორებითი შეფასება ტარდება ამ წესის მუხლი 8. შესაბამისად

დავლების შესრულების ინსტრუქცია:

შესწავლილი მასალის საფუძველზე მოკლედ უპასუხეთ თითოეული კრიტერიუმის შეკითხვებს:

- 1.
- 2.
- 3.
- 4.
- 5.

მოდულის განმახორციელებელი:

პროფესიული სტუდენტის ხელმოწერა:

დანართი 1

სსიპ ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი

შეფასების ფურცელი

მოდულის სახელწოდება და სარეგისტრაციო ნომერი -

პროგრამის სახელწოდება -

კვალიფიკაციის კოდი - 0215

მოდულის განმახორციელებლები -

პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი -

შეფასების ჩატარების თარიღი

შესრულების კრიტერიუმების დადასტურება

შედეგი	2	1	0
კრიტერიუმები			
1.			
2.			
3.			
4.			
5			

სსიპ ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი

სწავლის შედეგების დადასტურება
შეფასების ფურცელი

მოდულის სახელწოდება და სარეგისტრაციო ნომერი -
პროგრამის სახელწოდება -
კვალიფიკაციის კოდი - 0215
მოდულის განმახორციელებლები -
პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი -
შეფასების ჩატარების თარიღი

სწავლი შედეგი -	დადასტურდა	არ დადასტურდა
1.		
2.		
3.		
4.		
5.		

სწავლის შედეგი	დადასტურდა	არ დადასტურდა	შენიშვნა
სწავლის შედეგი 1. 1. 2. 3. 4. 5.			

საბოლოო შედეგი: (სწავლის შედეგი დადასტურდა ან არ დადასტურდა)

მოდულის განმახორციელებელი:

პროფესიული სტუდენტის ხელმოწერა:

III

სსიპ ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი

შეფასების ინსტრუმენტი

მოდულის სახელწოდება და სარეგისტრაციო ნომერი -

პროგრამის სახელწოდება –

კვალიფიკაციის კოდი - 0215

მოდულის განმახორციელებლები -

პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი -

შეფასების ჩატარების თარიღი

სწავლის შედეგი	
შესრულების კრიტერიუმები	
შეფასების მიმართულება	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით
შეფასების ინსტრუმენტები	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით
სწავლის შედეგის დადასტურებისთვის საჭირო გარემო	
სწავლის შედეგის დადასტურებისთვის საჭირო დრო	
დავალების აღწერა	
შეფასების მტკიცებულება	
შეფასების სქემა	<p>თითოეულ კრიტერიუმზე სტუდენტს ეძლევა ----- შეკითხვა. ყოველი შეკითხვა ფასდება მაქსიმუმ 2 და მინიმუმ 0 ქულით</p> <p>3 ქულა - პასუხი სრულია. სტუდენტი ზუსტად და ამომწურავად ასრულებს დავალებას.</p> <p>2 ქულა - პასუხი არასრულია, სტუდენტი ასრულებს დავალების ნახევარზე მეტს</p> <p>0 ქულა - პასუხი არ არის სწორი, სტუდენტი არასწორად ასრულებს მოცემულ დავალების ნახევარზე მეტს</p>
ხარვეზების დასაშვები ნორმა	პროფესიულ სტუდენტს შესრულება დაუდასტურდება, თუ ყოველი კრიტერიუმის თითოეულ შეკითხვაზე მიიღებს მინიმუმ 1 ქულას.
განმეორებითი შეფასების პროცედურა	განმეორებითი შეფასება ტარდება ამ წესის მუხლი 8. შესაბამისად

დავალების შესრულების ინსტრუქცია:

შესწავლილი მასალის, საფუძველზე შეასრულეთ ზეპირი დავალება.

ზეპირი შეკითხვები

მოისმინეთ ტექსტი და გაიმეორეთ.

გაითვალისწინეთ:

2.2

2.3

2.4

2.5

მოდულის განმახორციელებელი:
პროფესიული სტუდენტის ხელმოწერა:

დანართი 1

სსიპ ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი

შეფასების ფურცელი

მოდულის სახელწოდება და სარეგისტრაციო ნომერი -
პროგრამის სახელწოდება – მუსიკის რეპეტიტორი
კვალიფიკაციის კოდი - 0215
მოდულის განმახორციელებლები -
პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი -
შეფასების ჩატარების თარიღი

შესრულების კრიტერიუმების დადასტურება

სწავლის შედეგი	2	1	0
2.1			
2.2			
2.3			
2.4			
2.5			

სსიპ ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი

შეფასების ფურცელი

მოდულის სახელწოდება და სარეგისტრაციო ნომერი -
 პროგრამის სახელწოდება – მუსიკის რეპეტიტორი
 კვალიფიკაციის კოდი - 0215
 მოდულის განმახორციელებლები -
 პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი -
 შეფასების ჩატარების თარიღი

სწავლის შედეგების დადასტურება

სწავლი სედეგი	დადასტურდა	არ დადასტურდა
1.		
2.		
3.		
4.		
5.		

შესრულების კრიტერიუმები	დადასტურდა	არ დადასტურდა	შენიშვნა
სწავლის შედეგი			
1			
2			
3			
4			
5			

საბოლოო შედეგი: (სწავლის შედეგი 2 დადასტურდა ან არ დადასტურდა)
 მოდულის განმახორციელებელი:
 პროფესიული სტუდენტის ხელმოწერა:

მოდულის სახელწოდება და სარეგისტრაციო ნომერი -
 პროგრამის სახელწოდება -
 კვალიფიკაციის კოდი - 0215
 მოდულის განმახორციელებელი --
 პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი -
 შეფასების ჩატარების თარიღი -

სწავლის შედეგი	სწავლის შედეგი-
შესრულების კრიტერიუმები	
შეფასების მიმართულება	პრაქტიკული დავალება
შეფასების ინსტრუმენტი	პრაქტიკული დავალება
სწავლის შედეგის დადასტურებისთვის საჭირო გარემო	
სწავლის შედეგის დადასტურებისთვის საჭირო დრო	
დავალების აღწერა	
შეფასების მტკიცებულება	
შეფასების სქემა	შეფასება ხდება მოდულის სწავლის შედეგის/შედეგების კრიტერიუმების შესრულების შესაბამისად
ხარვეზების დასაშვები ნორმა	პროფესიულ სტუდენტს შედეგი დაუდასტურდება, თუ მისი შესრულება დააკმაყოფილებს თითოეული კრიტერიუმის მოთხოვნებს
განმეორებითი შეფასების პროცედურა	განმეორებითი შეფასება ტარდება ამ წესის მუხლი 8. შესაბამისად

დავლების შესრულების ინსტრუქცია

პროფესიული სტუდენტი შედეგში განსაზღვრულ კრიტერიუმებს ადასტურებს მოდულით
 გათვალისწინებული დავალების შესრულებით კომისიის წინაშე
 სწავლის შედეგის დადასტურება

	დადასტურდა	არ დადასტურდა
სწავლის შედეგი-		
1.		
2.		
3		
4		

5		
6		
7		

შესრულების კრიტერიუმები	დადასტურდა	არ დადასტურდა	შენიშვნა
სწავლის შედეგი- 1. 2. 3 4. 5. 6. 7.			

საბოლოო შედეგი (სწავლის შედეგი დადასტურდა ან არ დადასტურდა)

მოდულის განმახორციელებელი -----
 პროფესიული სტუდენტის ხელმოწერა -----

კომისიის წევრების ხელმოწერა _____

სსიპ ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი

შეფასების ინსტრუმენტი

მოდულის სახელწოდება და სარეგისტრაციო ნომერი -
 პროგრამის სახელწოდება -
 კვალიფიკაციის კოდი - 0215
 მოდულის განმახორციელებელი --
 პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი -
 შეფასების ჩატარების თარიღი -

სწავლის შედეგი	
----------------	--

შესრულების კრიტერიუმები	
შეფასების მიმართულება	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით
შეფასების ინსტრუმენტი	პრაქტიკული დავალება
სწავლის შედეგის დადასტურებისთვის საჭირო გარემო	
სწავლის შედეგის დადასტურებისთვის საჭირო დრო	
დავალების აღწერა	
შეფასების მტკიცებულება	
შეფასების სქემა	შეფასება ხდება მოდულის სწავლის შედეგში ჩამოთვლილი კრიტერიუმების შესაბამისად
ხარვეზების დასაშვები ნორმა	პროფესიულ სტუდენტს შედეგი დაუდასტურდება, თუ მის მიერ შესრულებული დავალება დააკმაყოფილებს თითოეული კრიტერიუმის მოთხოვნებს.
განმეორებითი შეფასების პროცედურა	განმეორებითი შეფასება ტარდება ამ წესის მუხლი 8. შესაბამისად

დავალების შესრულების ინსტრუქცია

პროფესიული სტუდენტი შედეგში განსაზღვრულ კრიტერიუმებს ადასტურებს მოდულით გათვალისწინებული ნაწარმოების შესრულებით კომისიის წინაშე

სწავლის შედეგის დადასტურება

	დადასტურდა	არ დადასტურდა
სწავლის შედეგი-		

შესრულების კრიტერიუმები	დადასტურდა	არ დადასტურდა	შენიშვნა
სწავლის შედეგი-			
1.			
2.			
3.			

საბოლოო შედეგი (სწავლის შედეგი დადასტურდა ან არ დადასტურდა)

მოდულის განმახორციელებელი -----

პროფესიული სტუდენტის ხელმოწერა -----

კომისიის წევრების ხელმოწერა _____ ნ.მანჯავიძე
----- თ.სოსანიძე
----- დ.ნასუაშვილი

სსიპ - ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი
სწავლის შედეგების შეფასების უწყისი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა--
მოდულის სარეგისტრაციო ნომერი და
სახელწოდება -
კრედიტების რაოდენობა --
მეცადინეობის სახე --
ჯგუფური/ინდივიდუალური
ჯგუფის მიღების წელი --
პროფესიული განათლების მასწავლებელი/მასწავლებლები --

